თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2
2025 წლის 15 იანვარი

ქ. თერჯოლა

„თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 23-ე, 24-ე მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19 დადგენილებაში (ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, სსმ, სარეგისტრაციო კოდი: 010320010.35.126.016361, 14/12/2021 წ.).

დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2025 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ბარათაშვილი**

„დანართი №2

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა, რანგები და თანამდებობრივი სარგოები

N	**პროფესიული საჯარო მოხელე**	**შტატის ოდენობა**	**რანგი**	**თანამდებობრივი სარგო (ლარი)**
1	საქმის წარმოების და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი – მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	II	2336
2	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში	1	III	1898
3	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში	1	III	1898
4	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი	1	III	1898
5	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებში	1	III	1752
6	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში	1	III	1752
7	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საოქმო და საარქივო	1	III	1752

	საკითხებში			
8	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის საკითხებში	1	III	1752
9	მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	1	IV	1460

№	ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი	დასაქმებულთა ოდენობა	თანამდებობრივი სარგო
1	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – აპარატის უფროსი	1	2920

.“